განმარტებითი ბარათი

„გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის სფეროში აუცილებელ ღონისძიებათა ინტენსიფიკაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გაფართოების საჭიროება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ორგანოები მაქსიმალურად არიან ორიენტირებულები, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის რეალიზაციის, ხოლო, მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის საკითხებში საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, დღის წესრიგში კვლავ რჩება რიგი გამოწვევებისა.

შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს საქართველოს პარლამენტის, როგორც გენდერულ სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო ინსტიტუციის უფლებამოსილებათა დაზუსტება, ისევე, როგორც გადაისინჯოს გენდერული თანასწორობის საბჭოს კომპეტენციები.

აგრეთვე, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში - მუნიციპალიტეტებში მიზანშეწონილია გენდერული თანასწორობის საკითხებს დაეთმოს მეტი ყურადღება, რისთვისაც უპრიანია შესაბამისი საბჭოების ფორმირება და გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის პოზიციის შემოღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის შემუშავების მიზანია გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ოპტიმიზაცია და მის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის სტიმულირება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტით შემოთავაზებულია გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრება, რაც უწინარესად გამოიხატება შესაბამისი

საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებაში. აგრეთვე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიების განხილვასა და დამტკიცებაში. საკანონმდებლო დონეზე ხდება ხსენებული ტიპის დოკუმენტების მიღების უფლებამოსილების რეგლამენტაცია და, ამავდროულად, ნარჩუნდება გენდერული თანასწორობის საკითხებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის მაკონტროლებელი ბერკეტები. ვინაიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს აღარ მოუხდება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენა, არამედ, აღნიშნული კომპეტენცია სრულად გადაეცემა საქართველოს მთავრობას, 2017 წლის პირველი იანვრიდან ხდება შესაბამისი ნორმის ამოღება გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილებებიდან.

გარდა ზემოთქმულისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე გენდერულ საკითხებზე სისტემური მუშაობის მიზნით, შესაბამისი საკრებულოების მიერ, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩამოყალიბებას, რომლებიც კოორდინირებულ რეჟიმში იმუშავებენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. ამავდროულად, ადგილობრივ დონეზე დისკრიმინაციის ფაქტებზე დროული და ეფექტური რეაგირების, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია გამგებლის/მერის უფლებამოსილების დაზუსტება, რომლის შესაბამისადაც გამგეობის/მერიის ერთ-ერთ მოსამსახურეს, რომელიც იქნება მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, დაევალება ზემოხსენებული ფუნქციის განხორციელება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტიდან

დამატებითი ხარჯების გამოყოფას. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს / გამგეობის/მერიის მოსამსახურის - გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტების ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი ორიენტირებულია ქართულ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაზე. შესაბამისად, მისი მიღება არ უკავშირდება ფინანსური შედეგების წარმოშობას პირთა იმ ფართო წრისათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. რაც შეეხება მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის თანამდებობის შემოღებას, მისი შრომის ანაზღაურება, ისევე, როგორც ეს ხორციელდება გამგეობის/მერიის სხვა მოსამსახურეთა შემთხვევაში, მოხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი - მანანა კობახიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი - მანანა კობახიძე